# კერძო პედიატრიული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა და უპირატესობები

ნინო ბარამიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

მარიამ თურმანაული, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

***განაცხადი***

*”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

ნინო ბარამიძე

2015 წელი

# აბსტრაქტი

**შესავალი:** კვლევის მიზანია კერძო პედიატრიული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის და უპირატესობების შესწავლა. **მეთოდოლოგია:** გამოყენებული იქნა რაოდენობრივი მეთოდი. კვლევა ჩატარდა თბილისის მასშტაბით და გამოიკითხა 101 რესპოდენტი, რომელიც სარგებლობს აღნიშნული სერვისით, სატელეფონო გამოკითხვით და ინტერნეტ-კითხვარის მეშვეობით. **შედეგები, ინტერპრეტაცია:** კერძო პედიატრიული სასწრაფო სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა მაღალია მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, ვინც დაზღვეული არის კერძო სადაზღვევო სისტემით. სასწრაფო სამედიცინო დახმარება არის 100%-ით დაფარული და ულიმიტოა. კერძო პედიატრიული სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოირჩევა სწრაფი მისვლით ბინაზე, მათი ბრიგადა დაკომპლექტებულია ექიმ-პედიატრებით, შეუძლიათ ბინაზე მომსახურების გაწევა, მკურნალობის სქემის გაცემა, რეცეპტი №3-ის გაცემა, მათ აქვთ 24 საათიანი მომსახურება, სატელეფონო კონსულტაციის შესაძლებლობა, ასევე პაციენტის მონიტორინგის მიზნით რამოდენიმე დღეში აწარმოებენ სატელეფონო მოკითხვას პაციენტის მდგომარეობის შესახებ. ასევე იგი უფრო კომფორტული სერვისია, არ არის საჭირო წინასწარ ჩაწერა, რიგებში დგომა. გამოკითხულთა უმრავლესობა (93%) უპირატესობას კერძო პედიატრიულ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ანიჭებს.



**ძირითადი საძიებო სიტყვები: კერძო სასწრაფო, ხელმისაწვდომობა, უპირატესობები**

## ABSTRACT

**Introduction:** The main object of the research is to study the advantages and accessibilities of the private pediatrician emergency service. **Methodology:** There was used the quantitative method. The research was held in Tbilisi and 101 respondents who have been using the following service, were inquired by means of the telephone calls and the Internet questionnaires. **The results:** The accessibility of the private pediatrician service is high for that part of the population who are insured by the private insurance companies. Such kind of service is totally anonymous and limitless for them private ambulance is featured with its urgent service. Its team consists of qualified pediatricians. They can render services at home, give medical advice and prescribe the medicine. They have 24-hour service and also they can make telephone consultations. In order to monitor the patient's condition they use telephone calls. It is a very comfortable service as well, there is no need to stand in a queue. The majority of respondents prefer a private ambulance service.



**Key words:** private emergency service, availability, advantages.

# მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელებს ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს ბატონ თენგიზ ვერულავას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ დოქტორანტს, ქალბატონ მარიამ თურმანაულს.

ასევე მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სადოქტორო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ დოქტორანტს და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორს, ბატონ თემურ ბარკალაიას.